პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 170 (19012) ოთხშაბათი, 25 ივლისი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ვეძიოთ, დავნერგოთ სიახლე

სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის ზრდა, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ წარმოების შედეგები უფრო სწრაფად იზრდებოდეს, ვიდრე დანახარჯები, რომ წარმოებაში შედარებით ნაკლები რესურსების ჩაბმის შედეგად შევძლოთ მეტის მიღწევა.

პარტიის ამ მითითების შესასრულებლად ჩვენს რესპუბლიკაში ფართო ფრონტით გაიშალა სამუშაოები. ახლა შედარებით იშვიათია შემთხვევა, როცა შრომის ნაყოფიერების ზრდას ხათაბადო განვითარებისა და დახაბუთების უქონლად გვეგმავდნენ. ამ მაჩვენებლის გადიდებას საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო და სატრანსპორტო ორგანიზაციების საკმაოდ დიდი ნაწილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის, ხელის შრომის შემცირების შედეგად აღწევს.

საწარმოს განვითარების პერსპექტიულ გეგმას საფუძვლად უნდა ედოს მეცნიერულად ღრმად გააზრებული დოკუმენტაცია, იგი უნდა ეყრდნობოდეს უახლეს მიღწევებს. სწორედ მეცნიერების მიღწევების სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, მრეწველობაში დანერგვის თაობაზე იმსჯელა თავის დროზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა, რომლის გადაწყვეტილებაც ნამდვილად კონკრეტული სამოქმედო პროგრამა გახდა ეკონომიკის ყველა დარგისათვის.

ფაქტია, რომ ამ პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და მნიშვნელოვანად მეტი კეთდება. სისტემატურად მატულობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვასთან დაკავშირებულ სიახლეთა რიცხვი. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ამ მიმართულებით 98-ზე მეტი სიახლე განხორციელდა. [...]

ხუთწლედი: წელი მეოთხე

გოლიათი ლიანდაგზე დგება

დამთავრდა დიდი სიმძლავრის მაგისტრალური ელმავლის ახალი სერიის ვლ-15 მეთაური ლოკომოტივის აწყობა. ამით საწარმოს კოლექტივმა ვადამდე ხუთი თვით ადრე უპასუხა სამშობლოს საქართველოს სსრ მშრომელთა 1984 წლის სოციალისტური ვალდებულებების დიდმნიშვნელოვანი პუნქტის რეალიზაციის შესახებ.

ამ დღეებში შიდასაქარხნო გზებზე ფოლადის ახალი გოლიათის „დაბერვა" იყო. როდია — ვლ-15 სულ ახლა სამღებრო საამქროში იყო, ერთი საათის შემდეგ — ელექტრომემონტაჟეებთან, რომლებიც საბოლოოდ აზუსტებდნენ კონტაქტებს, ხელსაწყოებს, სისტემებს, მრავალი კილომეტრი სიგრძის სადენებისა და კაბელების საიმედოობას, სისხლძარღვებივით რომ გასდევს ვეებერთელა ლოკომოტივის ოცდაათმეტრიან სხეულს.

თეთრ-ცისფერი გოლიათის ვლ-15-ის მახასიათებლები შთამბეჭდავია: მისი მასა 300 ტონა, სიმძლავრე — ცხრა ათასი კილოვატი, მაქსიმალური სიჩქარე — დაახლოებით 100 კილომეტრი საათში. ორსექციანი თორმეტღერძიანი ელმავალი განკუთვნილია ექსპლოატაციის რთულ პირობებში მძიმეწონიანი გრძელშემადგენლობიანი მატარებლების წასაყვანად. და იგი მთლიანად აკმაყოფილებს მოთხოვნებს: აღჭურვილია მართვის ტირისტორული სისტემით. რეკუპერაციული მოწყობილობა საშუალებას აძლევს დამუხრუჭების დროს ასობით კილოვატი ენერგია ქსელში დააბრუნოს.

— ახალი მანქანა შემუშავდა და შეიქმნა ნოვოჩერკასკის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივთან თანამეგობრობით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანების პარტკომის მდივანმა ლ. ჩიქვაიძემ. — მან მოგვაწოდა საეკიპაჟო ნაწილები, ზოგიერთი სხვა კვანძი და აგრეგატი.

ამჟამად ქვეყნის ფოლადის გზებზე მომუშავე ყოველი მესამე მაგისტრალური ელმავალი თბილისში მზადდება. ვლ-11 ლოკომოტივები ჩინებულად მუშაობენ ურალისა და ციმბირის რთულ პირობებში. საკმარისია ვთქვათ, რომ სვერდლოვსკის რკინიგზას, რომელიც გზის რთული რელიეფით გამოირჩევა, უპირატესად ქართული ელმავლები ემსახურებიან.

„ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება ლოკომოტივების გამოშვება. (საქინფორმი).

სურათებზე: კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, ელექტროზეინკალი ზურაბ ზეგაშვილი; ზ. ზეგაშვილის კომპლექსური ბრიგადა ნახევარი წლის გეგმა 185 პროცენტით შეასრულა.

ი. ქლამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მატულობს ხარისხისნიშნიანი პროდუქცია

ბათუმი. (საქ. კორ.). ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის 6 თვის დავალება. ამ ხნის განმავლობაში საწარმოს 9 სახეობის ნაწარმს მიენიჭა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. გარდა ამისა, მილე საასტესტაციოდ წარადგინეს კიდევ 11 სახეობის პროდუქციის.

მკერავთა წარმატებებს განაპირობებს იმანაც, რომ ფაბრიკაში დაიდგა ახალი დიდმწარმოებლური მანქანები, გაუმჯობესდა მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები.

მკერავებს გადაწყვეტილი აქვთ ვადამდე შეასრულონ 1984 წლის სახელმწიფო დავალებები და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 200 ათასი მანეთის ნაწარმი.

მფრინავი აგრონომები

გლდანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებლებმა მცხეთის რაიონში პირველებმა გადაჭარბებით შეასრულეს თივის დამზადების საგეგმო დავალება: ფერმებთან მიიტანეს და დაზვინეს 600 [...]

[...] რივი სათიბების გაუმჯობესებას. აქ მათ დასახმარებლად მოვიდნენ მფრინავი აგრონომები. [...]

ხობელთა პლანტაციებში

560.000 ტონა ჩაისათვის

[...]

ერთობლივი კვლევის მეხუთე დღე

[...]

გვატყობინებს „კომუნისტის" საგუშაგო

წყალი ყაირათიანად ვხარჯოთ

[...] ეფექტი. ამის შესახებ გვესაუბრება გურჯაანის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ტ. დვალიშვილი.

— ჩვენი რაიონის მელიორირებულ ფართობებს 3 სარწყავი სისტემა ემსახურება: ზემო ალაზნის, ქვემო ალაზნის და ქვემო სამგორის. ჩემი საუბარი ამით იმიტომ დავიწყე, რომ სამივე სისტემა მეზობელ რაიონებს ეკვემდებარება. პირველს — ახმეტისა და თელავის, მეორეს — რატომღაც — წნორის, მესამეს — საგარეჯოს სასისტემო სამმართველოები ხელმძღვანელობენ. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ სარწყავი წყლის გამო მეზობლებთან ურთიერთობაში ხშირად ვაწყდებით უხერხულობას. მართალია, შემუშავებულია და დამტკიცებულია გრაფიკი, თუ რომელმა რაიონმა როდის უნდა ისარგებლოს წყლით, მაგრამ ზოგჯერ გრაფიკს არ იცავენ, კონტროლი მოისუსტებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამივე სისტემა მოძველებულია და კაპიტალურ აღდგენას საჭიროებს. ქვემო ალაზნის სარწყავი [...]

იმიტომ, რომ [...] ყურძნის მოსალოდნელ დაავადებათა გავრცელების შემთხვევაში მორწყულ ადგილებში ტექნიკის შეყვანა გაგვიძნელდებოდა, შეიძლება ამას უფრო მეტი ზიანი მოეყენებინა.

წყლის დებეტის სიმცირის გამო იძულებული ვართ მთავარი ყურადღება მივაქციოთ არსებულის რაციონალურ გამოყენებას. კარგ შედეგებს გვაძლევს ღამით რწყვა.

სადღეღამისო რწყვა კარგად აქვთ მოწყობილი ჩუმლაყის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ვ. უტიაშვილი). მიმვებითი რწყვის გარდა აქ დღეღამის განმავლობაში 6 დასაწვიმებელი აგრეგატი შეუფერხებლად მუშაობს.

წყალს ყაირათიანად იყენებენ და კარგ შედეგებს აღწევენ ვაზისუბნის, ველისციხის კოლმეურნეობებში, ვეჯინის საბჭოთა, ქოდალის საკვებმომპოვებელთა და ღლის სასუქ მეურნეობებში.

[...] ფრთოვის ტბორებსაც. წესრიგში გვაქვს ტექნიკაც. მაგრამ იგი ყოველთვის არ გვყოფნის. განსაკუთრებით გვაკლია არხების საწმენდი ექსკავატორები, მძლავრი ბულდოზერები და ამ მექანიზმების გადამტანი მძიმეწონიანი მისაბმელი.

ვენახების რწყვა რაიონში მოგვიანებით დავიწყეთ, ჯერ ერთი, [...] რობრივმა მოსავლიანობამ 40 ცენტნერს გადააჭარბა. ეხე მოსავალს გვპირდება ბოსტნეულის, ბაღჩეულის და სიმინდის ნათესები.

წყალი სოფლის მეურნეობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, მისი უყაიროთოდ ხარჯვა არავის ეპატიება.

საჭირნახულო ლაშქრობის დღიური

● ბეღელშია 3.980 ტონა პურეული

ლაგოდეხის რაიონის მემინდვრეებმა პურეულის მკა შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრეს და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. სახელმწიფო ბეღელში 3.960 ტონის ნაცვლად დაბინავებულია 3.980 ტონა პურეული. დამზადება გრძელდება.

მარცვლეულის დამზადებაში თავი გამოიჩინეს ლაგოდეხის კალინინის, ნინიგორის „მეგობრობის", ცოდნისკარის, ულიანოვკის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის, ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ხატიაშვილმა.

● კურკოვანი ხილი — გეგმის გადაჭარბებით

მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებების პირნათლად შესრულებისათვის მუყაითად ირჯებიან ზუგდიდის რაიონის მშრომელები და წარმატებებსაც აღწევენ. ამჯერად თავი ისახელეს მეხილეებმა. მათ შეასრულეს კურკოვანი ხილის დამზადების წლიური დავალება.

საგეგმო 925 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 950 ტონაზე მეტი კურკოვანი ხილი.

ხილის დამზადება გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ.

ამასთან ერთად წარმოებს სენაჟის ჩადება. ერთ-ნახევარ-ორჯერ მეტი გადაჭარბებით შეასრულეს ამ ყუათიანი საკვების ჩადების დავალება წილკნის ექსპერიმენტული, მცხეთის მეცხოველეობის [...]

დიდი ფარმაცევტიკისათვის

[...]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ კომისიაში

სალებავი, რომელიც არ ღებავს

პარტიულ კომისიას წერილი გამოუგზავნა რუსთაველმა ბ. მოროზოვამ, რომელსაც უხარისხო სალებავი უყიდია. წერილში მითითებულია წუნისმკეთებელთა კონკრეტული მისამართი: გალის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ადგილობრივ საშენ მასალათა კომბინატი. ამ მისამართით გაემგზავრნენ კომისიის წევრები — სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექციისა და აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაკები.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, საწარმოში არ აკონტროლებენ შემოსული ნედლეულის, მასალებისა და მზა პროდუქციის ხარისხს. და სალებავიც, რომელიც ბ. მოროზოვამ იყიდა, არ შეესაბამებოდა სტანდარტს, უხარისხო ოლიფით იყო დამზადებული.

საწარმოში არ არის მოგვარებული წარმოების ტექნოლოგიური პროცესისადმი კონტროლი, არა აქვთ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, ბევრი სახეობის ნაწარმის არისტაციის მასალები. არ არიან გამოყოფილი სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიისათვის პასუხისმგებელი პირნი. არის სხვა დარღვევებიც: არ იცავენ პროდუქციის ფასებს, არ მოეპოვებათ ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდების ფონდები, შრომის უსაფრთხოების სისტემის სტანდარტები.

კომისიის სხდომაზე კომბინატის დირექტორის ი. ცოტავასა და პარტორგანიზაციის მდივნის ზ. ზუხბაიას ყურადღება მიექცა სასტანდარტო დისციპლინის არსებულ დარღვევებსა და ნაწარმის მდარე ხარისხს. ცნობად არის მიღებული, რომ შემოწმების მასალების საფუძველზე საწარმოს მიმართ გამოყენებულია ეკონომიკური სანქციები: ანგარიშებიდან ამოირიცხა უხარისხო სალებავის ღირებულება, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს გაეგზავნა მასალა ჯარიმის გადასახდევინებლად. კომბინატს აეკრძალა პროდუქციის გამოშვება გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრისათვის რადიკალურ ღონისძიებათა განხორციელებამდე. რესპუბლიკის ფასების სახელმწიფო კომიტეტს გაეგზავნა მასალა მოქმედი პრეისკურანტის შესაბამისად რეალიზებული სალებავის ღირებულების სხვაობის გადასახდევინებლად.

შემოწმების მასალები გადაეცათ პარტიის გალის რაიკომსა და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას დარღვევის დამშვებ პირთა მიმართ პარტიული და ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებათა მისაღებად.

გეგმას ასრულებენ დაუგეგმავი შეკეთებით

როგორ ავამაღლოთ საქართველოს სსრ საავტომობილო გზათა სამინისტროს თბილისის ლითონკონსტრუქციათა საცდელ-საექსპერიმენტო ქარხნის საწარმოო სიმძლავრეებისა და საგზაო ტექნიკის შეკეთების ეფექტიანობა, როგორ ჩავაბათ იგი დარგის საკვანძო ამოცანების გადაწყვეტის საერთო საქმეში?

ამ საკითხებზე ბჭობდნენ პარტკომისიის, სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ქ. თბილისის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაკები. გამოირკვა, რომ ქარხანა სამინისტროს მოთხოვნილებას საგზაო-სამშენებლო მანქანების შეკეთებაზე სულ 26 პროცენტით აკმაყოფილებს. დანარჩენ შეკეთებას უნაწილებენ სოხუმისა და რაიონულ საგზაო სახელოსნოებს, რასაც შედეგად მოსდევს შესრულებულ სამუშაოთა გაძვირება, დაბალი ხარისხი და, საბოლოო ანგარიშით, იგი ცუდ გავლენას ახდენს საავტომობილო გზების მშენებლობაზე.

მაგრამ, რაოდენ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, ქარხანა სარემონტო სამუშაოთა გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს... დაუგეგმავი შეკეთების ხარჯზე. ეს გეგმები დგინდება კრებსითი გამოხატულებით, მანქანების რაოდენობის აღუნიშნავად, რაც ართულებს საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და მასალების გაანგარიშებას. საწარმოო სიმძლავრენი გამოიყენება ქარხნის ერთ ცვლად მუშაობის პირობაზე, ამასთან არ იყენებენ პროდუქციის გამოშვების გადიდების შესაძლებლობებს.

შემოწმებამ გამოავლინა კადრების არასაკმარისი პასუხისმგებლობა წარმოების ცალკეულ რგოლებში საქმის მდგომარეობისათვის (ქარხნის დირექტორი ა. ლოლუა, პარტორგანიზაციის მდივანი ო. კუნდუხაშვილი), არ არის გადაწყვეტილი მატერიალური რესურსების დაზოგვის და საწარმოო პროგრამის ნომენკლატურის მიხედვით ფორმირების მთელი რიგი საკითხები.

ცნობად არის მიღებული რესპუბლიკის საავტომობილო გზათა მინისტრის პირველი მოადგილის ფ. კახიძის განცხადება, რომ მუშავდება ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი. დაკმაყოფილებულია მისი თხოვნა, განსახილველად გადაეცეს შემოწმების მასალები საავტომობილო გზათა სამინისტროს კოლეგიას, რათა საწარმოს გაეწიოს კვალიფიციური დახმარება საგეგმო-ეკონომიკური სამსახურისა და მეურნეობის პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

ზამთრისათვის თადარიგი ამთავითვე უნდა დავიჭიროთ

რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს ავჭალის მინის ქარხანასა და სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს თბილისის საიუველირო ქარხანაში არ იჩენენ მზრუნველ დამოკიდებულებას სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვისადმი, არ იყენებენ ეკონომიის რეზერვებს.

ასეთი დასკვნა გამოიტანა პარტკომისიის მომჭირნეობისა და ყაირათიანობის საკითხთა კონტროლის ჯგუფმა, რომელმაც „საქმთავარენერგოს" საქართველოს სსრ გაზსახკომისა და ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის სამსახურებთან ერთად გამოავლინა ფორმალიზმი სათბობისა და ენერგიის დაზოგვის ორგტექნიკურ ღონისძიებათა გეგმებში, ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების დაუსაბუთებლობა, გამოააშკარავა, რომ კონტროლი არ ეწევა ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობას. არც ერთი საწარმო არ მოეკიდება ჯეროვანი პასუხისმგებლობით იმ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომლებიც რესპუბლიკის დირექტიულმა ორგანოებმა გამოიტანეს 1984-1985 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მომზადების შესახებ.

საწარმოებში არ არის გათვალისწინებული ზაფხულის პერიოდში ენერგოტევადი მოწყობილობის რემონტი. მაგალითად, ავჭალის მინის ქარხანაში მხოლოდ შემოწმების პროცესში დაისახა ზამთრისათვის მზადების ღონისძიებანი, რომლებშიც ამავე დროს წინა წლების შეცდომებს იმეორებდნენ. საწარმოში დღემდე არ შექმნილა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნედ ხარჯვის კომისია.

წლითიწლობით ვერ ასრულებს კაპიტალური რემონტის გეგმებს საიუველირო ქარხანა. აქ მოუკვეთელია კომპრესორები, რომელთა სიმძლავრე მთელი ენერგოტევადი მოწყობილობის 60 პროცენტს შეადგენს. გეგმებში არ არის აღნიშნული რემონტის დაწყება-დამთავრების ვადები, მოწყობილობის სიმძლავრე.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ორივე ქარხანაში არ უწევენ არავითარ კონტროლს საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვას. აღრიცხვა-ანგარიშგების ქაოსური მდგომარეობა ხელს უწყობს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის წამატებებს, საწვავის უკანონო ჩამოწერას, ქონის დაუსჯელობის ვითარებას.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ ქარხნების პარტორგანიზაციები, რომლებიც კონტროლს არ უწევენ გადაწყვეტილებათა შესრულებას და არ ავლენენ სათბობისა და ენერგიის უყაირათოდ ხარჯვის მიზეზებს. საწარმოთა ხელმძღვანელობას და პარტორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გაერკვნენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმებსა და საწვავის ფონდებში, დააყენონ საკითხი შესაბამისი სამინისტროების წინაშე ამ საქმეში წესრიგის დასამყარებლად, სასწრაფოდ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, სათბობისა და ენერგიის რაციონალურ გამოყენებას. მათ უნდა განიხილონ აგრეთვე დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი და აცნობონ პარტიულ კომისიას საწარმოთა 9 თვის მუშაობის შედეგები.

დატაცება უნდა აღიკვეთოს

დირექტიული ორგანოების დადგენილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში წარმოებს მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტზე სახალხო-სამეურნეო ტვირთის დაცვა-შენახვის გასაუმჯობესებლად.

ძლიერდება მართლწესრიგის დაცვის სამსახურების პასუხისმგებლობა და დისციპლინა. კერძოდ, ეფექტიანად მუშაობენ მატარებლების კომერციული შემოწმების პუნქტები, ოპერატიული ჯგუფები ამიერკავკასიის რკინიგზის საპირაპირო სადგურებში, ისინი ავლენენ ვაგონებსა და კონტეინერებს, რომლებიც კომერციული წუნით არის ჩამოსული და დატაცების კვალი ეტყობა. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ორჯერ შემცირდა დატაცებით გამოწვეული ზარალი, იკლო კომერციული აქტების რაოდენობამ.

ამასთანავე, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, სამეურნეო ხელმძღვანელობის რგოლების აქტიურობის ამაღლების მიუხედავად, ცალკეული ქვეგანაყოფების პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმარის ყურადღებას არ უთმობენ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის წესით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილებამ და პარტიულმა კომისიამ მოისმინეს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ლ. ვარდოსანიძისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის რ. თუშურაშვილის ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ.

განხილვის დროს დაინტერესებულმა მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი კომისიათა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ. იმსჯელეს წარმოდგენილ წინადადებებზე, რომელთა მიზანია დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცება. (საქინფორმი).

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი: მოდის ახალი შევსება

ბევრი ქალიშვილისა და ჭაბუკისათვის ზაფხული ის დროა, როცა ცხოვრების გზა უნდა აირჩიო. ყოველწლიურად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-8 და მე-10 კლასებს [illegible] დამთავრებული გამოთქვამს სურვილს [illegible] მატერიალური წარმოების სფეროში. 300-ზე მეტი პროფტექსასწავლებელი ახალგაზრდობას რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური [illegible] კვალიფიციური მუშათა კადრებით სახალხო მეურნეობის შევსების მთავარი წყარო.

ახლა სასწავლებლებში ცხარე დღეებია — მიმდინარეობს მოსწავლეთა მიღება. საქინფორმის კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ს. რიგვავას.

ჯილდო აგვირგვინებს შრომას

ახალგაზრდობის ორმაგი სიხარული

ბევრი დაუვიწყარი დღე არსებობს ადამიანის ცხოვრებაში. სწორედ ერთ-ერთი ასეთი დღე იყო რაიონის ახალგაზრდებისათვის, როცა ისინი საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომში პირდაპირ პლანტაციებიდან, ფაბრიკებიდან და დაწესებულებებიდან მოვიდნენ, რათა საზეიმო ვითარებაში მიეღოთ სკკპ წევრობის და წევრობის კანდიდატობის ბილეთები.

ვინ არიან ეს ახალგაზრდები?

ესენი არიან რაიონის შრომითი კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლები ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული სასახელო შრომაში. მათ დაღებითად ახასიათებენ და ლენინური პარტიის რიგებში შესასვლელად რეკომენდაციებს აძლევენ ვეტერანი კომუნისტები და კომკავშირელები, შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

პარტიის რიგების განუწყვეტელი ზრდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სისტემატური ზრუნვის საგანია. წელს საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ ათობით მოწინავე ახალგაზრდა მიიღო სკკპ წევრად და წევრობის კანდიდატად.

იმ დღესაც ოცამდე ახალგაზრდას პარტიული ბილეთები საზეიმო ვითარებაში გადაეცა: ადგილობრივი მრეწველობის საწარმოს მუშებს ნატო დობორჯგინიძეს, თამარ თავაძეს, მზია ჩხარტიშვილს, ქეთი თხინთინ გოგუაძეს, ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის წევრებს — ვეთანდილ როყვას, თენგიზ სალუქვაძეს, საკონსერვო ქარხნის მუშებს — მამუკა ბარამიძეს, ნიკოლოზ გურგენიძეს, ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშას თეიმურაზ მატკავას, „კოლხეთმშენის" ტრესტის №3 მოძრავი მექანიზებული კოლონის მუშაკებს — რევაზ იმნაძეს, ალექსი იმნაიშვილს, მათის ჩაის ფაბრიკის ცვლის უფროს ოსტატ ვანო ჟორჟოლიანს, პურის მიმღები საწარმოს დირექტორის მოადგილეს აბე[illegible] სალომ კუკულაძეს და სხვებს.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ ამ[illegible]იერიდან სკკპ წევრებისა და წევრობის კანდიდატებისათვის პარტიული ბილეთების საზეიმო გადაცემა ტრადიციული გახდება.

რ. ლორია,
ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „კომუნისტური შრომის" რედაქტორის მოადგილე.

პარტიული ბილეთების საზეიმო გადაცემა სკკპ წევრებისა და წევრობის კანდიდატებისათვის

სურათზე: საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი თ. კუნჭულია პარტიულ ბილეთს გადასცემს თ. გოგუაძეს.

ა. თოფურიას ფოტო.

მომავალი ჩვენია

სრულვყოთ მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის სტილი — მოითხოვა პარტიული აქტივის კრებამ

რედაქციაში შემოსულ წე[illegible]

ესაა სოფლისთვის ზრუნვა?

წიგნი — ჩვენი სულიერი სიმდიდრე

საქართველოს სსრ გამსახკომის შრომითმა კოლექტივმა წარმატებით შეასრულა 1984 წლის ექვსი თვის სოციალისტური ვალდებულებანი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები
საქდესი იუწყება

...დამიანი, გზა, ტრანსპორტი

მგზნებარე გულით და სუფთა ხელებით

● სსრ კავშირ-ბულგარეთი

საიმედო გარანტია

სოფია. საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის მძლავრი ფაქტორია. ბულგარეთის კომპარტიის ლენინური კურსის შეოხებით ეს მეგობრობა გახდა ორი პარტიის, ქვეყნისა და ხალხის ურყევი მდიდარი ძმური თანამშრომლობის საფუძველი, წერს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც 24 ივლისს აღინიშნა.

ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, რომელშიც გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, აღნიშნავს გაზეთი, სამუდამოდ განამტკიცა ორი ქვეყნის ხალხთა კავშირთიერთობა. ამ გამარჯვებისაკენ გზა ადვილი როდი იყო. მძლავრი რევოლუციური ბრძოლის დროს, რომლის ინიციატორი ბულგარეთის კომუნისტთა პარტია იყო...

● ინდოეთი

ი. განდის განცხადება

„მშვიდობის სოფელი“

● ლიბანი

პოლიტიკური კონსულტაციები

ბეირუთი. ლიბანის დედაქალაქში ეწყობა პოლიტიკური კონსულტაციები ეროვნული ერთიანობის მთავრობის მიერ შემუშავებული ქვეყნის შიგნით რაიონების უშიშროების უზრუნველყოფის გეგმის განხორციელებისათვის. პრემიერ-მინისტრმა რ. კარამემ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ამ გეგმის ხორცშესხმა ამ დღეებში დაიწყება.

ცეცხლის შეწყვეტის ოფიციალურმა მეთვალყურეებმა ბეირუთში მოაწყვეს მოქიშპე მხარეების მიერ ჩაბარებული მძიმე იარაღის საწყობების ინსპექცია. დედაქალაქის აღმოსავლეთ გარეუბანში დბაიეში, სადაც ეგრეთ წოდებული ისრაელის „კავშირგაბმულობის ბიურო“ იყო განლაგებული, ლიბანის არმიის ოპერატიულ ჯგუფს დაევალა შეუდგეს იქ არსებული რადიომოწყობილობის დემონტაჟს, რომელსაც ისრაელში ჯაშუშური ცნობების გადასაცემად იყენებდნენ.

თელ-ავივის მხედრიონის მიერ ოკუპირებული სამხრეთი ლიბანი შეოთხე დღეა მთლიანად იზოლირებულია ქვეყნის დანარჩენი ნაწილისაგან. დამპყრობლებმა დახურეს ყველა გასაშვები პუნქტი, რომლებიც მდინარე ავალის გასწვრივ იყო განლაგებული. უშიშროების ასეთი ღონისძიებების მიუხედავად, ლიბანელი პატრიოტები თავს დაესხნენ ინტერვენტთა პოსტს საიდასა და ჯეზინს შორის გზატკეცილზე. მოკლულია ორი აგრესორი. რამდენიმე ოპერაცია განხორციელდა ისრაელი ოკუპანტების მიერ შექმნილი „სამხრეთ ლიბანის დამცველი არმიის“ დაქირავებულთა წინააღმდეგ.

● ისრაელი

ვადამდელი არჩევნები

ნიქოზია. მმართველი ზედაფენის ავანტიურისტული, მილიტარისტული კურსით გამოწვეული მწვავე სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის პირობებში 28 ივლისს ისრაელში გაიმართა პარლამენტის ვადამდელი არჩევნები. იგი გამოაცხადეს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლების სათავეში მოქცეული მემარჯვენე ექსტრემისტული ბლოკი „ლიკუდი“ სერიოზულ საშინაო და საგარეო-პოლიტიკურ უთანხმოებათა გამო, რომლებიც, უწინარესად, ლიბანის წინააღმდეგ აგრესიით არის გამოწვეული, ისრაელის კნესეტში (პარლამენტში) უმცირესობა აღმოჩნდა.

ხმების წინასწარი დაანგარიშებით, ძირითადმა ოპოზიციურმა პარტიამ — ისრაელის შრომის პარტიამ პარლამენტში 45 ადგილი მიიღო 120-დან. „ლიკუდის“ ბლოკმა — 42 ადგილი. ისრაელის კომპარტია წარმოდგენილი იქნება ოთხი დეპუტატით. ამრიგად, კნესეტში არც ერთ პარტიას არა აქვს აბსოლუტური უმრავლესობა და ახალი მთავრობის შექმნა მხოლოდ წვრილ პარტიებთან კოალიციით იქნება შესაძლებელი. ამიტომ მეთვალყურენი ვარაუდობენ, რომ კაბინეტის შექმნა შრომის პარტიასა და „ლიკუდის“ ბლოკს შორის მწვავე გაჭიანურებული ბრძოლის საგანი გახდება.

როგორც ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, იმის მიუხედავად, თუ ვინ გაიმარჯვა, თელ-ავივის პოლიტიკის არსი უცვლელი რჩება. ეს არის მეზობელი არაბული სახელმწიფოების მიმართ ექსპანსიისა და აგრესიის კურსი, ისრაელის ცხოვრების ყველა სფეროს შემდგომი მილიტარიზაცია, არაბული მიწა-წყლის მიტაცება ანექსია.

◆ დამასკო. ისრაელის მასწავლებელთა პროფკავშირმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს გამოაცხადოს გაფიცვა და ახალი სასწავლო წელი არ დაიწყოს, სანამ ისრაელის მთავრობა არ მიიღებს ღონისძიებებს, რათა გააუმჯობესოს მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა და უზრუნველყოს სკოლები აუცილებელი სასწავლო და თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოებით.

ისრაელიდან მიღებული ცნობების თანახმად, სამუშაოზე არ გავიდა 200 ათას კაცზე მეტი.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა ჯ. ბრაუნმა (დემოკრატი, კალიფორნიის შტატიდან) გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გაგზავნილ წერილში მხარი დაუჭირა იმას, რომ დაუყოვნებლივ შემოიღონ მორატორიუმი ამერიკის თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის სისტემების გამოცდისადმი.

◆ მანილა. ფილიპინებზე უცხოეთის სამხედრო ყოფნის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობის („კაკბაის“) ლიდერმა ალეხანდრო ლიჩაუკომ მოითხოვა ფილიპინების მიწა-წყალზე ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია. ამ მოძრაობის მონაწილეთა აქ გამართულ სიმპოზიუმზე მან განაცხადა, რომ ლუსონის კუნძულზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები ფილიპინებს გადააქცევენ პენტაგონის სამხედრო ავანტიურების თანამონაწილედ და საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეროვნულ უშიშროებას.

ფოტოფაქტი

გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ

გარემოს გაჭუჭყიანება წარმოების მავნე ნარჩენებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სულ უფრო საშიშ ხასიათს იძენს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, პრესის ცნობით, თითქმის ყოველდღე ავლენენ შხამიანი ნივთიერებებით მოწამვლის ფაქტებს. ახლახან საზოგადოებრიობის ზეწოლით ქალაქ ჰამბურგის ხელისუფლები იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ადგილობრივი ქიმიური ფაბრიკის „ბერინგერის“ მუშაობა.

თითქმის ათი წლის მანძილზე ფაბრიკის მფლობელთა ნებართვით საწარმოდან გამოაქონდათ და ქალაქის სანაგვეზე ყრიდნენ დიოქსინის შემცველ ნარჩენებს. ამის გამო, ექსპერტთა გამოკვლევის თანახმად, დიოქსინის შემცველობა ჰამბურგის მახლობლად გამდინარე წყლებში, აგრეთვე ნიადაგში, რამდენიმე ასეულჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. გარდა ამისა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ ბოლო დროს ჰამბურგში ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვების დაბადების ხშირი შემთხვევების ერთ-ერთი მიზეზი „ბერინგერის“ ფაბრიკის დიოქსინია. ...

სურათზე, რომელიც ჟურნალიდან „შპიგელიდან“ არის ამოღებული, აღბეჭდილია საპროტესტო დემონსტრაცია ჰამბურგში გარემოს დანაშაულებრივი გაჭუჭყიანების წინააღმდეგ.

ნიკარაგუა:

ვაშინგტონი აფართოებს ტერორსა და დივერსიებს

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

შეხვედრები პოლონელ მშრომელებთან

დელეგაცია მოსკოვს დაბრუნდა

უსაფრთხო მოგზაურობისათვის

დროა სისხლი შევიტანოთ

დრო და ხელოვანი

მუსიკოსის გზა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გრიგოლ ირაკლის ძე **კოკელაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გრიგოლ კოკელაძე, რომელსაც დაბადების 80 წელი შეუსრულდა, ნახევარ საუკუნეზე მეტია თავდადებით ემსახურება მშობლიურ მუსიკალურ კულტურას და უდავოდ თავისი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში, ახალი ხელოვნების ფორმირებაში. მისი ბიოგრაფია ქართული საბჭოთა მუსიკის ზრდისა და გაფურჩქვნის ცოცხალი ისტორიაა.

ოციანი წლების მიწურულს გამოვიდა გ. კოკელაძე ასპარეზზე...

...სწორად, ხალხურ შემოქმედებას, ამ ცნების ფართო გაგებით, გრ. კოკელაძე ბავშვობაშივე ეზიარა, ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში, იგი ახლოს იყო გამოჩენილ ქართველ ლიტერატორებთან, მუსიკოსებთან, საუცხოოდ იცნობდა ქართულ ზეპირსიტყვიერებას, პოეზიას. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. აქ ერთხანს ლექციებსაც კითხულობდა, მაგრამ სადაც უნდა ყოფილიყო, იგი ყველგან გუნდებს აყალიბებდა, ხალხურ სიმღერებს ამუშავებდა, ორიგინალურ ნაწარმოებებსაც წერდა.

მისი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო პროპაგანდა გაეწია ქართული ხალხური შემოქმედებისათვის, ამ საყვარელი საქმისათვის არასოდეს უღალატია, თუმცა მრავალი წლის მანძილზე მეტად პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა: საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ, საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორად, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად.

[illegible]

მერა ფირხალავა.

ინფორმაცია — 84 ● ინფორმაცია — 84

[illegible]

„არგო" ოქროს საწმისის ქვეყანაში

[illegible]

„კომუნისტის" საკ. კორ.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში
ჭიათურა
გვაცნობენ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ინდუსტრია ქალაქი

[illegible]

უკადავი სახელი

[illegible]

მაღალი სოციალური პრინციპი

[illegible]

ო. ნიკაბაძე.

შექსპირის სონეტები ოსურ ენაზე

[illegible]

წიგნის მაღაზია „მუხიანი"

[illegible]

„სილაქაზეშო"

[illegible]

ლ. მერაბიშვილი.

ყაბახი

ფეხბურთის ასპარეზზე

...„მეშახტე"—1:0, გორის „დილა" — სოხუმის „დინამო" — 3:2, ... „სპარტაკი" — 3:2, ... „მერაკი"-ამოვიანის „კოლმეურნე" — 0:2. 28 ივლისიდან 13 აგვისტომდე მეორე ლიგის გუნდები პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა თასის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას და მხოლოდ ამის შემდეგ განახლდება (18 აგვისტოს) ამ ლიგის გუნდების საკავშირო პირველობა. ღღეისათვის გუნდებს შემდეგი ქულები აქვთ: „კოლმეურნე"—29 ქულა, სამტრედიის „ლოკომოტივი"-„მერცხალი" და „დილა" — 24-24, „კოლხეთი" და „კოლხიდა" — 23-23, სოხუმის „დინამო" და „ქიათურა" — 21-21, „ყარაბაღი" და „სპარტაკი" — 20-20, „მეშახტე" და „მერაკი" — 18-18, „ავტომობილისტი" და „არაგვი" — 17-17, ... „ლოკომოტივი" — 15, „ხანძარი" — 14, ... „ლოკომოტივი" — 6 ქულა.

[illegible]

სატურნირო ორბიტა

[illegible]

ა. დაუშვილი

[illegible]

ინფორმაცია — 84 ● ინფორმაცია — 84

საპატიო დარბაზში

სილამაზის სამსახური ბრძოლებში

[illegible]

ლ. ტაბიძე.

გეგმებით კატამარანი

[illegible]

[illegible]

სიცხეა, პაპანაქება

[illegible]

ქორწილი მტრის ზურგში

[illegible]

„კომუნისტი"

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსის ტ ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47 სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-54-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 29-66; ტყიბული — 25-82.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

25 ივლისი

[illegible]

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთელი ჩემი ბიოგრაფია". 10.45 — ჩვენს დიდ სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი ...

[illegible]

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

დადგა ზაფხულის ცხელი, მშრალი ამინდები, ტყეებში, პარკებში, სკვერებში და განსაკუთრებით მთის ფერდობებზე გახმა ბალახი და ბუჩქნარები, ამიტომ მცირედი გაუფრთხილებლობაც კი ხანძრის გაჩენის დიდ საშიშროებას ქმნის.

იყავით ფრთხილად! ნუ დააგდებთ არჩაუქრობელ ასანთსა და პაპიროსის ნამწვს, ნუ გააჩაღებთ კოცონს ტყეში, დაიცავით მწვანე ნარგავები ხანძრისაგან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო, მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება.

რედაქტორი
გ. ბერიძე

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამო" სტადიონი
25 ივლისი
ფეხბურთი

[illegible]

ამ გუნდების ხათადარიგო შემადგენლობანი თამაშობენ „დინამოს" სტადიონზე 27 ივლისს.

დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07354 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზარბის ხიოოლი მორის ორლენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, ... საგაზეთო კორპუსი, ... 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20